

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიზების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასთან და მასში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრასთან, რაც გამოვლინდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტების პრაქტიკული გამოყენებისას და კერძოდ, ოჯახში ძალადობის საქმეების ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში. წარმოდგენილი კანონპროექტი მიმართულია სრულყოფის დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოება და დამცავი და შემაკავებელი ორდერებით რეგულირებული საკითხების წრე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სრულყოფის და ეფექტურად გამოყენებადი გახადოს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების - დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემა/დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, გააუმჯობესოს მათ გამოცემასა და დამტკიცებასთან დაკავშირებული ნორმები და სრულყოფის თვით ორდერებით რეგულირებული საკითხების წრე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით ზუსტდება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პროცედურული ნორმები და განსჯადობის წესი, კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, მსხვერპლის თანხმობით ასევე პირს,

რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას. კანონპროექტის მიხედვით დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება.

კანონპროექტის მიხედვით „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს“ ემატება ნორმა (21¹³-ე მუხლის მე-3 ნაწილს “ბ” ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე სასამართლოში წარდგენილი განცხადება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა რეკვიზიტებთან/მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს ასევე მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის – მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმა გაუადვილებს სასამართლოს მოპასუხის მოწვევას კანონით განსაზღვრულ ვადაში და ასევე, დაეხმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული მასალების მისთვის გადაგზავნაში.

წარმოდგენილი პროექტით, კანონს ემატება რამდენიმე ნორმა (21¹³ მუხლის 3¹, 3², 3³ ნაწილები), რომლებიც არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აზუსტებს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციის პროცედურასა და წესს, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ორდერის გამოცემის საპროცესო ვადების ათვლასთან. ამასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოში წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების სასამართლოს კანცელარიის მიერ ფორმალური (და არა შინაარსობრივ) მხრივ შემოწმებისა და ფორმალური უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადების შემომტანისათვის უზუსტობის აღმოფხვრის თაობაზე მითითების შესაძლებლობას.

კანონპროექტით რეგულირდება ოჯახში ძალადობის საქმეების სასამართლოს დახურულ სხდომაზე განხილვის საკითხი. წარმოდგენილი კანონპროექტით (მუხლი 21¹³-ის 5¹ და 5² ნაწილები) მოსამართლეს უფლება აქვს მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით, საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე. ასევე, დარეგულირდა არასრულწლოვანის მიმართ მშობლების მხრიდან ძალადობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ღრობითი ღონისძიების სახით გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

კანონპროექტის 21¹⁵ მუხლის მე-2 ნაწილით სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება ორდერის გამოცემის ან მისი დამტკიცების საკითხის განხილვისას, სასამართლოს პროცესის მონაწილე მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე მოძალადეს, რომელსაც ესაჭიროება ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის ან ისეთი ფსიქიური დაავადების მკურნალობა, რომელიც არ გამოირიცხავს შერაცხადობას, ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებისა და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაუნიშნოს იძულებითი მკურნალობა და იძულებითი მკურნალობის დანიშვნის შემთხვევაში განუსაზღვროს მოძალადეს მკურნალობის სახეები (მოძალადისათვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ვალდებულია პროცესზე მოიწვიოს სპეციალიზირებული სამედიცინო ან სამკურნალო დაწესებულების წარმომადგენლები).

კანონპროექტში ახლებურად ყალიბდება ნორმები (მუხლი 21¹³-ის ნაწილი 6 და მუხლი 21¹⁴-ის ნაწილი 9) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით (თავი VII³) მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების თაობაზე და განისაზღვრება, რომ ასეთი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო, საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და არ საჩივრდება.

ორდერით გათვალისწინებული საკითხების აღსრულებისა და მათ შესრულებაზე მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილი კანონპროექტით (კანონპროექტის მუხლი 21¹³-ის ნაწილი მე-7¹; მუხლი 21¹⁵-ის ნაწილები 6, 6¹; მუხლი 21¹⁴-ის ნაწილი 7) განისაზღვრა ასევე ის დამატებითი სუბიექტები, რომელთაც უნდა გაეგზავნოთ დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის გამოცემის/დამტკიცების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების ასლები.

წარმოდგენილი კანონპროექტით ასევე ზუსტდება დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში მოძალადისთვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის პირობები (მუხლი 21¹⁵-ის მე-3 ნაწილის ქვეპუნქტი “ზ” და მუხლი 21¹⁵-ის მე-4 ნაწილის ქვეპუნქტი “ვ”).

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირობათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი